

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტი

სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება	ფიზიკური აღზრდა და სპორტი (მწვრთნელი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სპორტის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	2 წელი / 4 სემესტრი, 120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის შემუშავების თარიღი	30.10.2013 წ.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე	
<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაში მოდის უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია, როგორც კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვაზე. შესაბამისად კურსდამთავრებული მზად იქნება სურვილის შემთხვევაში განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების მესამე (სადოქტორო) საფეხურზე და ამავედროულად განახორციელოს უშუალო პრაქტიკული საქმიანობა.</p> <p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მომზადდეს დარგის სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელთა კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის შრომით ბაზარზე; • სიღრმისეულად შეასწავლოს მაგისტრანტებს სპორტის ზოგად მეთოდური, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და მეცნიერული კვლევის საფუძვლები, ის მოვლენები და კანონები, რომელიც საფუძვლად უდევს მწვრთნელის ცოდნის ხარისხის ამაღლებას და მიმართულია სხვადასხვა ასაკისა და კვალიფიკაციის სპორტსმენების საწავლო-საწვრთნო პროცესის მიზანმიმართულად დაგეგმვისა და მაღალ დონეზე წარმართვისაკენ; • გამოუმუშაოს მაგისტრანტს უახლესი მეცნიერული გამოკვლევების შედეგების, სპორტის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მდგომარეობის და ძირითადი ტენდენციების ანალიზის უნარი. 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიღების წესის შესაბამისად. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის მქონე სპეციალისტს.	
სწავლის შედეგი	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>მაგისტრანტს ეცოდინება:</p> <ul style="list-style-type: none"> • სპორტის მეცნიერების სფეროში პრობლემის დანახვის, ამოცნობის, ორიგინალური იდეების შემუშავებისა და მისი

გადაჭრის მეცნიერული (კვლევის მეშვეობით) გზები, კვლევის მეთოდების პროფესიული ტექნოლოგიები;

- სპორტული წვრთნის ძირითადი თეორიული კონცეფციები, საწვრთნო პროცესის დაგეგმვისა და ჩატარების პრინციპები სპორტსმენების ასაკობრივ-სქესობრივი და ფიზიკური განვითარების გათვალისწინებით;

- სპორტსმენის ჯანმრთელობის, ფუნქციური შესაძლებლობებისა და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მდგომარეობა ფიზიკური დატვირთვების ზემოქმედებით და მათდამი სხვადასხვა ასაკის სპორტსმენთა ორგანიზმის ადაპტაციის მექანიზმები და თავისებურებები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრანტი შეძლებს

- ახალი თეორიული დებულებების, კვლევის პრაქტიკული მეთოდების შემუშავებასა და მათ სრულყოფაში მონაწილეობას;
- კვლევითი საქმიანობის განხორციელებას სასწავლო-საწვრთნელ მოღვაწეობას და მიღებული ცოდნის გამოყენებას თავის პროფესიულ პრაქტიკაში;
- სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების ანალიზის საფუძველზე კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- მიღებული ცოდნის, პედაგოგიური მეთოდებისა და მიდგომების, აუცილებელი პრაქტიკული ხერხებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებას და რეალიზირებას სხვადასხვა ასაკის სპორტსმენების მომზადების პროცესში.

დასკვნის უნარი

მაგისტრანტი შეძლებს

- ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას, მონაცემთა უწყვეტ ნაკადზე დაყრდნობით კი – ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს;
- არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბებას, პრობლემის სწორ იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების მოძიება/გამოყენებას;
- დამოუკიდებლად, სპორტში კვლევების შედეგად, ახალი ობიექტური მონაცემების ან მოდელირებული საშეჯიბრო სიტუაციების ანალიზს სფეროსთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით;
- კვლევითი პროექტების მონაცემების ინტერპრეტაციას, რთული პრობლემების განსაზღვრას და მათი გადაჭრისათვის სათანადო მეთოდების გამოყენებას.

კომუნიკაციის უნარი

მაგისტრანტი შეძლებს

	<ul style="list-style-type: none"> • თავისი დასკვნების და არგუმენტაციების დამაჯერებელ გადმოცემას, გამართულ კომუნიკაციებს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებით გამოყენებას; • კვლევის შედეგების გაფორმებასა და წარმოდგენას; • ქართულ და რომელიმე უცხო ენაზე პროფესიული ინფორმაციის ათვისებას; • პრეზენტაციების მოწყობას თემატურ საკითხებზე თანამშრომლებისა და ზოგადად საზოგადოების წარმომადგენლებისათვის. <p>სწავლის უნარი მაგისტრანტი შეეძლება</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლების და კვლევების დამოუკიდებელი დაგეგმვა და განხორციელება; • განახლებადი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის მუდმივი სინთეზით პროფესიონალური თვისებების უწყვეტი განვითარება; • მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; • საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა. <p>ღირებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამა მაგისტრანტს ჩამოუყალიბებს უნარს, კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი, ისე კოლეგების პროფესიული ღირებულებები (კომპეტენტურობა, პატიოსნება, ობიექტურობა დაა.შ.) და თავის წვლილს შეიტანს პოზიტიური ფასეულობების შექმნაში; • სპორტის სფეროს ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულებათა დამკვიდრებაში.
სწავლის ფორმატი	
სწავლების ფორმატიდან პროგრამაში გათვალისწინებულია: ლექცია, სემინარული მეცადინეობა და პრაქტიკული	
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები	
ჯგუფური მუშაობა, დისკუსია/დებატები, ვერბალური მეთოდი, დამოუკიდებელი მუშაობა, წერიტი მუშაობის მეთოდი, კოლოკვიუმი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა–განმარტებითი ანგარიშის დაწერა, რეფერატის შესრულება, პრეზენტაცია, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობა, პროექტი (ინდივიდუალური და ჯგუფური), პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა, პედაგოგიური პრაქტიკა, საწვრთნო პროცესზე დაკვირვება, სამოდულო საწვრთნო მეცადინეობის ჩატარება, დღიურის წარმოება.	
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	
<p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;</p>	

- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სემესტრული შეფასების კომპონენტები:

- აქტივობა - 30 ქულა (თეორიული მასალის ზეპირი პრეზენტაცია - 15 ქულა; პრაქტიკული უნარ-ჩვევები - 15 ქულა);
 - შუალედური შეფასება - 20 ქულა;
 - კოლოქვიუმი - 10 ქულა;
 - საბოლოო გამოცდა - 40 ქულა.
- სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - საბოლოო გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის სტუდენტს, სემესტრის განმავლობაში სხვა კომპონენტებში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

სემესტრული შეფასების კომპონენტები აღწერილია საგნების სილაბუსებში

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

დასაქმების სფერო

მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში. იმუშაოს სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში, სპორტულ ფედერაციებში და სპორტული კლუბებში. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორში. განაგრძოს სწავლა მესამე საფეხურზე- დოქტორანტურაში.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 2 წლიანი. სწავლება ორი წლის განმავლობაში მოიცავს 120 კრედიტს, 2 სასწავლო კურსს, რომელიც შედგება ოთხი სემესტრისაგან; სემესტრში 30 კრედიტი; წელიწადში 60 კრედიტი.

1კრ=25საათი

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი საგნები.

ერთი აკადემიური წელი : 38 კვირა.

სემესტრის ხანგრძლივობა: 19 კვირა.

ყველა სახის სასწავლო მუშაობა განისაზღვრება ასტრონომიული საათით (60 წუთი).

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები (ჩართული ინტერნეტ ქსელში); თეორიული მზადებისათვის – სალექციო აუდიტორიები და ლაბორატორია, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი.

პროგრამის სრულფასოვნად ათვისებისათვის ფაკულტეტს გააჩნია აგრეთვე რესურსი ურთიერთობა დაამყაროს სპორტის სხვადასხვა ორგანიზაციებთან (კლუბები, ფედერაციები) და სტუდენტი მიავლინოს სტაჟირებაზე. ამ მხრივ პროგრამა ითვალისწინებს:

საჯარო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებთან სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელებას;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებთან და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობას.

სწავლის გაგებების შესაძლებლობა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მაგისტრის ხარისხი უფლებას აძლევს მაგისტრანტს სწავლა განაგრძოს მესამე საფეხურზე - დოქტორანტურაში.

პროგრამა

სასწავლო კურსები	სტატუსი (საგანდებელი/არჩევითი)	ECTS კრედიტი/სემესტრი	საკონტაქტო საათების რაოდენობა	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სპეციალიზაცია-I	ს	6 (I)	47	X	X			X	X
სპეციალიზაცია-II	ს	6(II)	47	X	X			X	X
მეცნიერული კვლევის მეთოდები ფიზიკურ აქტივობაში	ს	6(II)	47	X	X	X		X	X
სპორტის მენეჯმენტი	ს	6 (III)	47	X	X	X		X	X
თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	X
ბიომექანიკა	ს	6 (I)	47	X	X	X		X	
სპორტული წვრთნის საფუძვლები	ს	6 (III)	47	X	X			X	
სპორტის პედაგოგია	ს	6 (I)	47	X	X		X	X	
სპორტის ინფრასტრუქტურის მართვა	ს	6 (I)	32	X	X		X	X	
სპორტის ფიზიოლოგია	ს	6 (II)	47	X	X	X	X	X	X

სპორტის ფსიქოლოგია	ს	6 (III)	47	X	X		X	X	X
თანამედროვე სპორტული ტექნოლოგიები	ს	6 (III)	47	X	X	X	X	X	
პრაქტ. სპეციალობაში	ს	10 (IV)	180	X	X	X	X	X	X
სამაგისტრო ნაშრომი	ს	20 (IV)	90	X	X	X	X	X	X
ინგლისური ენა (სპეც კურსი) 1	ა	6 (I)	47	X	X	X	X	X	
ინგლისური ენა (სპეც კურსი) 2	ა	6(II)	47	X	X	X	X	X	
კვლევის სტატისტიკური და ლაბორატორიული მეთოდები	ა	6(I)	47	X	X		X	X	